პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 42 (12554) | სამშაბათი, 19 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

რენტაბელობა

ჩვენი ბრძოლის დევიზი

მანქანათასამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის ყველა კოლექტივს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხი წარმატებით შრომობს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის აღფრთოვანებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებშიც დასახულია პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ნათელი ამოცანები.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის საქმის წარმატებათა უდიდესი მნიშვნელობა, რომ სულ უფრო და უფრო გამოვუცხადოთ მფლანგველობას ნედლეულის, მასალების. ელექტროენერგიის გამოყენებაში, მინიმუმამდე დავიყვანოთ არასაწარმოო ხარჯები, მივაღწიოთ ზეგებით ეკონომიას და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებით მომზადების საქმეში.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმოები, სადაც საგრძნობია დანაკარგები, ადგილი აქვს გადახარჯვას, დიდია პროდუქციის თვითღირებულება, წარმოება ზარალით მუშაობს და ამით სახელმწიფოსაც ზარალს აყენებს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ზარალიანი საწარმოები შეუწუნარებელია. უნდა გავაძლიეროთ მანეთით კონტროლი წარმოების ყველა სფეროში, აღვკვეთოთ ყოველგვარი გადახარჯვა, მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, სათბობი და ელექტროენერგია, ყოველი დაზოგილი მანეთი მოვახმაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიად საქმეს.

რესპუბლიკის მანქანათასამშენებლო მრეწველობაში ყოველი დღე იძლევა საწარმოთა კოლექტივების შრომითი გმირობის, გაბედული შემოქმედებითი შემართების უამრავ მკაფიო მაგალითს. ყველგან ჩქეფს მუშაობა, ინეინერ-ტექნიკოსთა და ნოვატორთა ინიციატივა, რომელიც ემსახურება პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

შვიდწლედის მეოთხე წელს რესპუბლიკის მანქანათასამშენებლო მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების დავალება და დაგროვების სახელმწიფო გეგმა, ქვეყანას 665 ათასი მანეთი ზეგეგმით მოგება მისცა. სამშრომელოს საწარმოებიდან მხოლოდ ორმა დაამთავრა გასული წელი ზარალით.

გარემატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ უზრუნველგვეყო რენტაბელობის ყველა რეზერვის ამოქმედება. განსაკუთრებით საგრძნობია არასაწარმოო ხარჯების ზრდა. შარშან ამ სახის ხარჯებმა 700 ათას მანეთს გადააჭარბა. დიდია აგრეთვე ნუნით გამოწვეული ზარალი, ნედლეულისა და მასალების დანაკარგები.

ამასთან, რომ შვიდწლედის მეხუთე წელს უფრო რენტაბელურად ვიმუშაოთ, მივიღოთ ზეგეგმითი დაგროვების მაქსიმუმი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით ღრმა ანალიზი გაუკეთდა ქუთაისის ავტომშენებელთა გასული წლის მუშაობას და გამოვლინებულ იქნა რეზერვები. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა 1963 წელს უარი თქვას სახელმწიფო დოტაციაზე, უზრუნველყოს რენტაბელური მუშაობა და რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს მიმართოს მოწოდებით — ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის, საწარმოთა რენტაბელობისათვის.

რესპუბლიკის მანქანათამშენებლები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ქუთაისელ ავტომშენებელთა თაოსნობას შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა შესრულებისათვის, არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის, საწარმოთა რენტაბელობის განმტკიცებისათვის.

ჩვენ ვაჩალებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის დევიზია: მაქსიმალურად შევამციროთ არასაწარმოო ხარჯები, დავზოგოთ ნედლეული და მასალები, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, ვიბრძოლოთ წარმოების რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი ეკონომიისათვის! მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას.

მანქანათასამშენებლო მრეწველობის სამმართველოს სამეურნეო აქტივის კრებამ გადაწყვიტა:

1. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლოს 1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება გეგმის ზევით შეამციროს 0,5 პროცენტით.

2. აამაღლოს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია, მოაწყოს სადღეღამისო მორიგეობა და ამით მინიმუმამდე შეამციროს მანქანების დგომები და ყველა სახეობის ტრანსპორტის მოცდენები.

3. უზრუნველყოს მოხმარებელებისათვის პროდუქციის შეუფერხებელი მიწოდება ყველა ასორტიმენტის მიხედვით და ამით თავი დააღწიოს გაუმართლებელ ხარჯებს.

4. ნუნით გამოწვეული დანაკარგები გასულ წელთან შედარებით შეამციროს ერთნახევარი პროცენტით.

5. დაზოგოს 800 ტონა ფაში და ფერადი ლითონი, 8 ათასი ტონა პიროგითი საწვავი, 3,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. წარმოებაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღოს 1 მილიონ 700 ათასი მანეთი ეკონომია.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, მოგმართავთ მოწოდებით მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას.

ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების რენტაბელობისათვის, არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის, რომელიც მოხმარდება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებით მომზადებას.

მიმართვა მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო აქტივის კრების მიერ.

თესვა უთესლოდ?

ჩვენი მიმოხილვა

შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხული ადრე დაიწყო. თბილმა დღეებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა მინდვრის სამუშაოებისათვის. ბევრ რაიონში ეს კარგად გაითვალისწინეს და ბეგრითად მუშაობენ საგაზაფხულო კულტურების კონდიციური თესლის მოსამარაგებლად.

ქების ღირსია ყვარლის რაიონი. აქ საგაზაფხულო კულტურების თესვა შემჭიდროებულ ვადებში რომ დაამთავრონ, ამისათვის საჭიროა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლი ჰქონდეთ სულ მცირე 10.673 ცენტნერი. ფაქტიურად თებერვლის მეორე ხუთდღიურისათვის უკვე ჰქონდათ 12.563 ცენტნერი. ასევე მოიქცნენ საჩხერელი მშრომელები. მათ კონდიციური თესლი აქვთ 4.805 ცენტნერი ნაცვლად 4.691 ცენტნერისა. ამ მხრივ კარგად მიდის საქმე ამბროლაურის რაიონში.

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის ახალქალაქის რაიონის შესახებ. აქ ხელმძღვანელმა ამხანაგებმა ვალდებულება აიღეს 15 თებერვლამდე ჰქონდათ ყველა სახის საჭირო თესლი.

როგორ შეასრულეს სიტყვა?

ცუდად. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 61.503 ცენტნერი საგაზაფხულო მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლისა მხოლოდ 21.147 ცენტნერი აქვთ. უფრო მეტიც: ლაბორატორიაში წარდგენილი 23.554 ცენტნერი სათესლე მასალა შემოწმებით უკონდიციოა. საინტერესოა, რას ფიქრობენ ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და საწარმოო სამმართველოს მუშაკები?

ხაშურის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს საგაზაფხულო კულტურების დასათესად საჭიროა 11.979 ცენტნერი თესლი. გაზაფხული კარს მოგვადგა, რაიონში მხოლოდ 3.687 ცენტნერი კონდიციური თესლი აქვთ. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც დუშეთის საწარმოო სამმართველოშია.

გარდაბნის, თეთრი წყაროს, სიღნაღის და გურჯაანის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შარშანდელი გვალვების გამო საკუთარი წარმოების თესლი არა აქვთ. ამიტომ საჭიროა სახელმწიფო რესურსებიდან მოიმარაგონ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ახლავე უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები და, სანამ გვიან არ არის, აღნიშნული რაიონები მოამარაგოს საგაზაფხულო კულტურების საჭირო თესლით.

რესპუბლიკაში შვიდწლედის მეხუთე წელს საგაზაფხულო მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების დასათესად საჭიროა 287.089 ცენტნერი თესლი. თებერვლის მეორე ხუთდღიურისათვის კონდიციური თესლი იყო 188.299 ცენტნერი. მართალია, შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საგაზაფხულო კულტურების თესვა მაღალხარისხოვნად და შემჭიდროებულ ვადებში ჩავატაროთ.

საზეიმო სხდომა მოსკოვში

მოსკოვი, 17 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). დღეს საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს.

სადღესასწაულოდ მორთულ წითელდროშოვან დარბაზში შეიკრიბნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეები, დედაქალაქის საწარმოდ-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

საბჭოთა მეიარაღებული ძალების 45 წლისთავის შესახებ მოხსენება წაიკითხა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ქ. ბაგრამიანმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის დიდი კონცერტი გაიმართა.

ურღვევი მეგობრობა

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იანოშ კადარსა და იშტვან დობის გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიესალმებიან და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ სსრ კავშირისა და უნგრეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 15 წლისთავის გამო.

ხელშეკრულების დადება, ნათქვამია, კერძოდ, დეპეშაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნების ცხოვრებაში. 15 წელი, რაც ხელშეკრულების დადების დღიდან გავიდა, ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისა და განმტკიცების პერიოდი იყო. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, გულწრფელად უხარიათ და ამაყობენ თავიანთი უნგრელი ძმების ისტორიული გამარჯვებებით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა იანოშ კადარმა და იშტვან დობიმ უნგრეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 15 წლისთავის გამო მისალმებული დეპეშა გამოუგზავნეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს.

ხელშეკრულება, რომელიც 15 წლის წინათ დაიდო, ჩვენი ხალხების მეგობრობის, ჩვენი საერთო საქმეების მკაფიო გამოხატულებაა. მას საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპები, ერთიანი ინტერესების ურთიერთპატივისცემა, ნათქვამია დეპეშაში.

უნგრელი ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია სოციალიზმის საფუძვლთა მშენებლობის გზაზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, დიდად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებასთან. მისალმებაში ნათქვამია, რომ ბრწყინვალე წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში, აღაფრთოვანებენ უნგრელ ხალხს მის მუშაობაში სოციალიზმის საბოლოო აშენებისათვის და განამტკიცებენ ხალხთა ბრძოლას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის. (საქდესი).

გულითადი მისალმება

ერკვნული ინტელიგენციის მისალმება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიის თავმჯდომარეს. სესია იხსნება ქალაქ ლეოპოლდვილში.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად მიესალმება აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს — სესიის მონაწილეებს და წერს, რომ აფრიკელი ხალხების მისწრაფებას გაათავისუფლონ მთელი კონტინენტი, სამუდამოდ მოულონ ბოლო სიღატაკეს, შიმშილს, ავადმყოფობებს, უწიგნურობას, ყოველივე იმ სამარცხვინო მემკვიდრეობას, რომელიც კოლონიზატორებმა დატოვეს აფრიკაში, დიდი გაგებითა და თანაგრძნობით ეკიდებიან საბჭოთა კავშირი და ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი როგორც სოციალისტური სახელმწიფო, ნათქვამია წერილში, ძმურ უანგარო ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს და გაუწევს აფრიკის ბევრ სახელმწიფოს, აგრეთვე დახმარებას უწევს მათ ეროვნული კადრების მომზადებაში.

აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკის განვითარება და მათი ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ხაზგასმულია წერილში, განუხრელად უკავშირდება მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მთელ მსოფლიოში, კოლონიალიზმისა და ყველა მისი გამოვლინების, მისი ძველი და ახალი ფორმების სრულ ლიკვიდაციას. აფრიკის ქვეყნები და ხალხები შეიძლება დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, მუდამ მათთან ერთად იბრძოლებს მთელი კაცობრიობისათვის ამ საარსებო დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად.

თავისი წერილის დასასრულს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წარმატებებს უსურვებს სესიის მუშაობას აფრიკის კონტინენტის ეკონომიური პროგრესის საკითხებზე, აფრიკის ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცების ინტერესებისათვის. (საქდესი).

პავლე პოპოვიჩი ეცნობა უგბეკეთს

ტაშკენტი, 18 თებერვალი. (საქდესის კორ.). კოსმონავტმა შვრინვიმა პავლე პოპოვიჩმა, რომელიც სტუმრად იმყოფება უზბეკეთში, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ვ. ა. საიუშევთან ერთად გუშინ იმოგზაურა ზერავშანის ხეობასა და მშიერ ველში.

კოსმოსის გმირს გულითადად მიესალმნენ უფველესი სამარყან დ ი ს მცხოვრებლები. პავლე პოპოვიჩმა დათვალიერა ქალაქის ისტორიული ძეგლები, მისი ახალშენებანი. ალიშერ ნავოის სახელობის უნივერსიტეტის საავტო დარბაზში იგი შეხვდა სამარყანდის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, უამბო თავისი და ანდრიან ნიკოლაევის ჯგუფური ფრენის შესახებ.

მშიერი ველის მშრომელებმა კოსმონავტ — 4-ს გააცნეს ის დიდი სამუშაოები, რომლებიც წარმოებს იმისათვის, რომ აყვავებულ ბამბის პლანტაციებად გადააქციონ ველის ოდესღაც უდაბური მიწები.

ღირსეული კანდიდატები

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები. მშრომელები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებულ ადამიანებს, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს.

ონჩამირის რაიონის სოფელ ბესლეთის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ წევრებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბესლეთის № 350 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფროლ რომანის-ძე კოზლოვი და მოწინავე კოლმეურნე ლუბა სედრაკის ასული კალაიჯანი.

ცხინვალის ქარხანა „ელექტროგიბრო-მანქანის“ კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქარლ მარქსის № 391 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და საწარმოს მოწინავე მუშა ვასილ კონსტანტინეს-ძე კულუმბეკოვი.

ჭალკ რუსთავის ვაჟა ფშაველას № 148 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ რუსთავის სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივისაგან დასახელებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და საწარმოს ზეინკალთა ბრიგადირი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ბერკულოვი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და მეუღლე ჰეჰკო გრიგოლის-ძე ჯამშუტრია დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად გეგეჭკორის რაიონის სოფელ ტყვარის კოლმეურნეებმა მარანის № 314 საარჩევნო ოლქში.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს დეპუტატობის კანდიდატებად დიდი ჭყონის № 317 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ამ სოფლის № 2 ჩაის ფაბრიკის მუშა ლუბა ანტონის ასული ჯორჯლაძე.

ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. ქვედა საქარის № 210 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ირაკლი იოსების-ძე ჩხიკვიშვილი.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ თმაკონის კოლმეურნეებმა დეპუტატობის კანდიდატებად თმაკონის № 318 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ეს-ტატეს-ძე ჭილაია.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჯახაოს ლეხიხის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბანძის № 319 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი ბიძინა ილიას-ძე დანელია.

დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეთა კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭ. სამტრედიის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამ საწარმოს მოწინავე მუშა ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე შენგელაია.

ბოლნისის რაიონის ყაჩაღნის მერძეულობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა-მუშა-მოსამსახურეებმა ყაჩაღნის № 134 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი აივაზ დურსუნ-ოღლი ჰასანოვი.

მახარაძის რაიონის სოფელ ერკეთის კოლმეურნეებმა ხიდისთავის № 288 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ართელის მოწინავე მეჩაიე ციალა სერგის ასული პაიჭაძე.

თელავის რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე იყალთოს № 195 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლონგინოზ გიორგის-ძე არსენიშვილი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა ველისციხის № 166 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი ალექსანდრეს ძე მამისაშვილი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ხაშის კოლმეურნეებმა პატარძეულის № 173 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს კოლმეურნეობის მწველავი მარიამ სოლომონის ასული თურმანაული.

ხაშურის რაიონის სოფელ ლიხის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქარლ მარქსის № 319 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი ბიძინა ილიას-ძე დანელია.

დუშეთის რაიონის სოფელ საგურამოს კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საგურამოს № 161 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ ართელის კოლმეურნე ელისაბედ რაფიელის ასული მოძღვრიშვილი.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ქარხნის საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭ. ზესტაფონის ლენინის № 216 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და მფრინავ-ლთა ბრიგადირი გრიგოლ ლევანტის-ძე დავითაშვილი.

საქართველოს ჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ჭ. სამტრედიის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამ საწარმოს მოწინავე მუშა ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე შენგელაია.

ბოლნისის რაიონის სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაჯახაოს № 308 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე თინა ალექსანდრეს ასული ოყუჯავა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაიშის № 302 საარჩევნო ოლქში დაასახელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პეტრე გედევანის-ძე გელბახიანი.

ხაშურის რაიონის ქვიშხეთის ნამუშევრის სკოლის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქვიშხეთის № 104 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის მასწავლებელი მარიამ დიმიტრის ასული ლომიძე.

ხაშურის რაიონის სოფელ გვირის კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გვირის № 105 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ქვირისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პავლე ანდრიას-ძე დევიძე.

ხაშურის რაიონის სოფელ კეხოჯვრის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კეხოჯვრის № 99 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ ართელის კოლმეურნე თინა კონსტანტინეს ასული ცხოვრებაშვილი.

ხაშურის აგურის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 102 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ქარხნის მოწინავე მუშა უფუნა ალექსის ასული გელაშვილი.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ხაბუმეს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ნათელა ივანეს ასული შენგელაია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაბუმეს № 297 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის წევრები.

ცხაკაიას კირის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 290 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ნოე პავლეს-ძე შონია.

სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის № 264 საარჩევნო ოლქში დაასახელა საწარმოს მოწინავე მუშა ეფენია ამბროსის ასული ჟვანია.

სამტრედიის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშის ლენინის სახელობის არტელის წევრთა საერთო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის № 261 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ლიანა ვასილის ასული ჩომახიძე.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დამფასოებელი ლამარა ნაცვლიშვილი.

ფოტო გლ. გინზბურგისა.

უპატაკებენ სამშობლოს

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა იანვარში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 50. ათასი მანეთის პროდუქცია.

ელექტრობურღების ხარისხის შედგომი გაუმჯობესების მიზნით ქარხანამ იანვარში დაამზადა მაღალი სიზოლაციო მასალებისგან გაკეთებული ელექტრობურღის პირველი საცდელი ნიმუში.

გრაფიკს უსწრებენ და უწუნოდ მუშაობენ საიარაღო ელექტრომანქანებისა და ამწეების მექანიკური საამქროების კოლექტივები.

ახალციხე. (საკ. კორ.). წინასაარჩევნო შრომითმა ვახტზე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ახალციხეში სამთოლები. დაწინაურდა № 1 შახტის კოლექტივი. განსაკუთრებით ისახელა თავი ამ შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სამოო საქმის ოსტატი კომუნისტი სტეფანე აფრიამაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკვე შეასრულა თებერვლის დავალება. ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ღირსათვის გაანაღდონ ოთხი თვის დავალება, ხოლო წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის.

საჩხერე. (საკ. კორ.). სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს ხე-ტყის დამზადების ბაზამ იანვარში გათვალისწინებული 1.200 კუბმეტრის ნაცვლად 1.216 კუბმეტრი ხე-ტყე დაამზადა.

კარგი მუშაობით თავი ისახელეს ხისმჭრელებმა ო. თედეევმა, ს. მაკარაძემ, ა. გეგიაძემ; ტრაქტორისტებმა ი. მწყურაშვილმა, მ. ბაქრაძემ; მხერხავ-მოტორისტმა ა. ბაქრაძემ, მანქანის მძღოლებმა ჯ. ქურციკიძემ, შ. ბახტურიძემ და სხვებმა.

მოსკოვიდან გაემგზავრა ლაოსის მეფე

მოსკოვი, 18 თებერვალი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან შვეიცარიაში გაემგზავრნენ ლაოსის მეფე მისი უდიდებულესობა შრი სავანგ ვათჰანა, კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც სახელმწიფო ვიზიტად იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირში.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ლაოსისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალებით, საპატიო სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ

პარტიული ცხოვრება

ხალხის მახვილი თვალი

რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობა პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობა ჟგუფები.

ამ დღეებში გაიმართა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის სატვირთო საამქროს გალვანური უბნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კრება. კრებაზე ინფორმაცია კონტროლის სტრუქტურის გარდაქმნისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ახალი ორგანოების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კუჭავამ.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფში წარმომადგენლებად არჩეულია უბნის 8 საუკეთესო მუშაკი.

ხელშემწყობი ჯგუფის წარმომადგენელთა პირველ სხდომაზე ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩიეს სატვირთო საამქროს გალვანური უბნის უფროსი ე. ბზაკოვიჩი, მოადგილედ — ელექტროზეინკალი ა. ბუეფკო. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროში არჩეულნი არიან საამქროს ოსტატები ა. ბარბაქაძე და ვ. ვეფხვაძე.

„პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფისა და საგუშაგოების შემადგენლობაში წარმომადგენლების არჩევის შესახებ" — ასეთი დღის წესრიგი ჰქონდა კომუნისტთა კრებას გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ლაპარაკობდნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ახალი ორგანოების მნიშვნელობაზე, მასში საზოგადოებრიობის ფართო მასების მონაწილეობის აუცილებლობაზე. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფსა და საგუშაგოებში თავიანთ წარმომადგენლებად უველაზე საქმიანი, ავტორიტეტიანი ამხანაგები აირჩიეს.

ამავე საკითხზე გაიმართა კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კრებაც. კრებები გაიმართა აგრეთვე მემანდრეობის საწარმოო და სატრაქტორო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმაში. უველგან შრომისმოყვარე, ენერგიული ადამიანები აირჩიეს. კოლმეურნეობაში სულ 11 საგუშაგო შეიქმნა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობმა ჯგუფმა თავისი წარმომადგენელი ორგანო-ბიუროში აირჩია 9 წევრის შემადგენლობით. ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილე ი. ხატისკაცი.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები — საზოგადოებრივი კონტროლის ახალი ორგანოები — რესპუბლიკის სხვა საწარმოებსა და მეურნეობებშიც დაიბადა.

ორჯონიკიძელთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. მან ვადამდე შეასრულა იანვრის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს ასეულ ტონაობით ზეგეგმითი მარგანეცი გაუგზავნა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც აკაკი და მიხეილ კენჭოშვილები უძღვებიან. მათ 115-120 პროცენტით შეასრულეს იანვრის დავალება. გამართულად მუშაობს პეროსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი ინჟინერ ვ. სალიანძის ხელმძღვანელობით. აქ ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციით იზრდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება მარგანეცის ხარისხი, მცირდება თვითღირებულება.

ქართული კაპროლაქტამი — მაისში!

დიდი მონდომება

ახალი განრიგის შესრულება კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე გუშინ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მშენებელ მემონტაჟეები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს და შაბათს გვიან დაღამებამდე იმუშავეს ახალი განრიგის დავალებათა გასანაღდებლად. კვირაც სამუშაო დღედ გამოაცხადეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი კ. უკლება), რომელმაც განრიგით გათვალისწინებული 18 თებერვლის ნაცვლად კვირას № 956 კორპუსზე უწრუნველყო ხარაჩოების გაკეთება. რითაც „ქიმდაცვის" სამმართველოს მუშაკებს საშუალება მიეცათ ორშაბათს დილიდანვე შესდგომოდნენ სამუშაოს.

სამშენებლო მოედნებზე კმაყოფილებით აღნიშნავენ № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის (უფროსი ნ. თოდრია) საქმიანობას. კვირას 50 სატვირთო მანქანა ემსახურებოდა მუშათა სასადილოს შენებლობაზე მასალების მოზიდვას. გუშინ „ქიმმრეწვმშენის" სამმართველო უკვე შეუდგა სასადილოს შენობის კედლების ამოყვანას.

გუშინ მშენებელ მემონტაჟეთა მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო 954 კორპუსზე. ამ კორპუსზე დარჩენილი სამუშაოები მთლიანად ამ კვირაში უნდა დამთავრდეს და კომისიას ჩაბარდეს. ამიტომ გასაგებია ის ტემპი, რომლითაც მუშაობენ მემონტაჟეები.

განრიგით გათვალისწინებულია № 401 კორპუსიდან № 7 კვანძამდე აზოტწყალბადის ნარევი ხაზის ჩაღაგების სამუშაოები დამთავრდეს ამ კვირაში. როგორც „მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველოს უბნის უფროსმა მ. მიროშნიკოვმა განაცხადა, აზოტოვანი სასუქების ქარხნამ მემონტაჟეები მოამარაგა ონკანებით, მაღალი ძაბვის მარეგულირებელი და დამცველი სარქველებით. მემონტაჟეები უკვე შეუდგნენ ამ სამუშაოს შესრულებას, ჩქარობენ რომ 22 თებერვალს დაამთავრონ აზოტწყალბადის ნარევისათვის მილგაყვანილობის სამუშაოები. დამკვეთმა ორგანიზაციამ გუშინ „მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველო უზრუნველყო ყველა საჭირო დოკუმენტაციით.

◆ „ქიმმრეწვის" სამმართველოს მუშაკებმა № 956 კორპუსზე ერთი დღით ადრე მოაწყეს ხარაჩოები.

◆ „ქიმდაცვის" სამმართველოს კოლექტივი 956 კორპუსზე ვადაზე ადრე შეუდგა განრიგით გათვალისწინებული დავალების განაღდებას.

◆ მემონტაჟეებმა მიიღეს ონკანები, მაღალი ძაბვის მარეგულირებელი და დამცველი სარქველები.

◆ „მეტალურგმონტაჟის" სამმართველო უზრუნველყოფილია ყველა საჭირო დოკუმენტაციით.

ქალაქის მშენებლობა რუსთავში

რედაქციისაგან: რუსთავის კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე შექმნილი საკორესპონდენტო საგუშაგოს კრიტიკული შენიშვნების თაობაზე რედაქცია დაუკავშირდა ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ტრესტის მმართველს ამხ. ზ. ჯაფარიძეს, რომელმაც განაცხადა: დღეისათვის უკვე გადაწყვეტილია ჩოლაბურის სილის საკითხი და მშენებლებს საშუალება აქვთ მთელი ფრონტით გაშალონ მუშაობა. მილებულია ზომები არზანიტის შემოსაზიდავად. გვაქვს ცნობა, რომ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობისათვის 22 თებერვალს დაიტვირთება არზანიტის მორიგი პარტია.

ფართო გზა — ტექნიკურ აზრს!

გამჭრიახი გონებით

გუშინდელ მუშაობას ნაკლიც ჰქონდა. 956 კორპუსზე შეფერხდა „სანტექმონტაჟის" სამუშაოები იმის გამო, რომ დროულად ვერ დაყენეს კონდენსატ გადამთველები. მემონტაჟეებმა და თვით დამკვეთმა ორგანიზაციამ ვერ დაადგინეს ამონიუმის სხნარის ჩამოსხმის საკითხი. 958 კორპუსზე „ქიმდაცვის" სამმართველოს ერთი ბრიგადა საგები მასალის არზანიტის უქონლობის გამო გაცდა. ამავე კორპუსზე ლაბორატორიის მაგიდები არა აქვთ.

გ. დემეტრაშვილი — „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, **ა. ბერიძე** — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ტრესტის ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, **ლ. ჩარკვიანი** — აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამონიუმის სულფატის საამქროს ცვლის უფროსი, **მ. ზემელიევი** — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენ ი ს" ტრესტის მოწყობილობათა ბაზის უფროსი, **ზ. მერკვილაძე** — „კომუნისტის" ხაკ. კორ.

სურათზე: ამონიუმის ბისულფატის საამქროს უფროს მეპაპარატეთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან) ლ. ჩიტია, ი. გვენეტაძე, ვ. ჯუჯლაშვილი, მ. გამყრელიძე, ლაბორანტი მ. ლუკონოვა და ო. გოგიძე.

ფოტო გ. გოგობიასი.

ლირსეული კანდიდატები

(დასასრული)

მაისხოჯის № 262 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის რაიონის სოფელ სუხის კოლმეურნეებმა დაასახელეს სიმინდის უხვი მოსავლის **ოსტატი აკაკი ზაქარიასძე ღვახერიძე.**

ზესტაფონის რაიონის სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თერჯოლის № 212 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მერგოლური **გრიგოლ მათეს-ძე ფორჩხიძე.**

მარნელის გრენილი ავეჯის ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოლითის № 204 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საწარმოს მუშა **ლეო ბოქტორის ასული კიკნაძე.**

ზესტაფონის რაიონის სოფელ კიცხის კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიცხის № 206 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ არტელის კოლმეურნე **მარგალიტა ანთიმოზის ასული სხილაძე.**

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქირულის № 209 საარჩევნო ოლქში დაასახელეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ცისია ლეონტის ასული გელაშვილი.**

წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოფურჩხეთის № 245 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე ჩაის მკრეფავი **ანეტა სევერიანეს ასული ხურციძე.**

წყალტუბოს სანატორიუმ „მეგობრობის" მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წყალტუბოს № 248 საქალაქო საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და წყალტუბოს სამრეწველო-სანაწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი **ზურაბ მიხეილის-ძე ობოლაძე.**

დილისკის № 120 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **არუთინ პარაქირის-ძე გრიგორიანი.**

ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა სიმონურის დ. კლდიაშვილის სახელობის არტელის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩხარის № 213 საარჩევნო ოლქში დაასახელა წარჩინებული კოლმეურნე **ზინაიდა ტარასის ასული მუშაყიდიანი.**

კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა კავთისხევის № 83 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **რევაზ ალექსანდრეს-ძე ბზიშვილი.**

ქარელის № 92 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია გორის რაიონის სოფელ ქარელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხვთისო ნიკოლოზის-ძე რაზმაძე.**

გარდაბნის რაიონის სამგორის საჯაშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოღანლუღის №75 საარჩევნო ოლქში დაასახელა საბჭოთა მეურნეობის მეფრინველე **ცირა ფირუზის ასული ჯარიაშვილი.**

რუისპოლოს მერქეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ნაფარეულის № 196 საარჩევნო ოლქში დაასახელეს თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **თეიმურაზ გიორგის-ძე ბადურაშვილი**

ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაქალაქევის № 294 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი **ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილი.**

ზუგდიდის ჩაის პირველი ფაბრიკის დირექტორი **შალვა ილიას-ძე ჩილაჩავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხეთის № 309 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა.

სამტრედიის რაიონის ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჯავახოს № 266 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **არჭილ მირონის-ძე ლაბახუა.**

სამტრედიის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წულუკიძის № 260 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **ბოროს გერასიმეს-ძე გიგაბერია.**

ყვარლის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გორკის **სახელობის** კოლმეურნეობის წევრებმა **ბაქოსთვის** სსრ უმაღლესი საბჭოს **საბჭოს** დეპუტატობის კანდიდატად ვარდისუბნის № 185 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ვასილისძე გელაშვილი.**

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საცდელო საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კლარა ცეტკინის № 25 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი **ვლადიმერ ვალერიანის-ძე შავგანიძე.**

გარდაბნის რაიონის ნორიოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მარტყოფის № 71 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ილია ალექსის-ძე მამულაშვილი.**

თბილისის წყალსადენის ხელსაწყოების ქარხნის **„მუშა ოლღა ზაქარიას ასული ჯანიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოს № 116 საარჩევნო ოლქში დაასახელა ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **კონსტანტინე დენისის-ძე ვერიუენკო.**

გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ტყვიავის № 87 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამავე არტელის წევრი **ეკატერინე დიმიტრის ასული ნიკოლაშვილი.**

გორის რაიონის ქიზნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი **ლევან შალვას-ძე წიქარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია კარალეთის № 88 საარჩევნო ოლქში.

გორის რაიონის სოფელ შინდისის კოლმეურნეებმა შინდისის № 89 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე სოფლის საავადმყოფოს ექიმი **ზინაიდა ტარასის ასული მუშაყიდიანი.**

კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა კავთისხევის № 83 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **რევაზ ალექსანდრეს-ძე ბზიშვილი.**

ქარელის № 92 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია გორის რაიონის სოფელ ქარელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხვთისო ნიკოლოზის-ძე რაზმაძე.**

გარდაბნის რაიონის სამგორის საჯაშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოღანლუღის №75 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის მეფრინველე **ცირა ფირუზის ასული ჯარიაშვილი.**

რუისპოლოს მერქეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ნაფარეულის № 196 საარჩევნო ოლქში დაასახელეს თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **თეიმურაზ გიორგის-ძე ბადურაშვილი**

ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაქალაქევის № 294 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი **ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილი.**

ზუგდიდის ჩაის პირველი ფაბრიკის დირექტორი **შალვა ილიას-ძე ჩილაჩავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხეთის № 309 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა.

სამტრედიის რაიონის ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჯავახოს № 266 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **არჭილ მირონის-ძე ლაბახუა.**

სამტრედიის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **„მთავარპოლიგრაფგამომცემლობის"** ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშებმა და მოსამსახურეებმა დაასახელეს კომბინატის მოწინავე მუშა **ასია ნიკოლოზის ასული შადღნოვა.**

თბილისის ოქტომბრის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების კომბინატის კოლექტივმა შრომის № 29 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **ვასილ სამსონის-ძე ლოგინოვი.**

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის პედაგოგი **თამარ ივანეს ასული ჯაფარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად პასპარეთის № 23 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა.

საბჭოს № 31 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 1 სამკერავი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა დაასახელეს საწარმოს მოწინავე მუშა **პოლინა ნიკოლოზის ასული ბოგდანოვა.**

მერკვილაძის № 24 საარჩევნო ოლქში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საკროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა დაასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი **მელიტონ მიხეილის-ძე დანელია.**

მცხეთის ასანთის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მცხეთის № 79 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ბორჯომის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი **გურამ ალექსანდრეს-ძე ჭუთათელაძე.**

შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის, საერთო კრებამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაშიანის № 165 საარჩევნო ოლქში დაასახელა გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **გივი ევგენის-ძე აზნაურაშვილი.**



„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

უდანაშაულო დამნაშავე

გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 4 იანვრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა სჩხერის რაიონის სოფელ სარეკის კოლმეურნეობის გამგეობის დანაშაულებრივ მოქმედებას, მიწათსარგებლობის წესების დარღვევას და სხვა საკითხებს.

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილი განიხილა სჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურომ, რომელმაც სწორად ცნო გაზეთში გამოქვეყნებული წერილი. ბიუროს რჩევით სარეკის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ვ. კუტალაძე. კოლმეურნეობის აგრონომი მ. ახრამაშვილიც გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

მ. ბრეგვაძე,
საქართველოს კპ სჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ამ მაღაზიაში შესვლაც კი ძნელია

დიდი პოპულარობით სარგებლობს „საქწიგნის" მეხუთე მაღაზიის დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურის განყოფილება.

აქ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყნებში სხვადასხვა ენებზე გამოცემული წიგნების, ალბომებისა და რეპროდუქციების შეძენა. ამ მაღაზიაში ხშირად დინახავთ უნივერსიტეტის, უცხო ენათა ინსტიტუტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ლექტორებსა და თანამშრომლებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მეხუთე მაღაზიის ეს სექცია მოთავსებულია მეტისმეტად პატარა და ულაზათო ფარდულში, რომელშიც წიგნები ერთმანეთზეა დაყრილი. ზოგჯერ თვით მაღაზიაში შესვლაც კი ძნელია.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქში (ბაქო, ერევანი, ალმა-ატა, რიგა, ტაშკენტი და სხვ), რომ არაფერი ვთქვათ მოსკოვსა, ლენინგრადსა და კიევზე, უკვე დიდი ხანია გახსნილია სპეციალიზებული მაღაზიები, რომლებიც მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნების წიგნებით ვაჭრობენ. სპეციალიზებული მაღაზიის უპირატესობა ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობა საგანგებოდ იქნება დაინტერესებული მოახმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, დემოკრატიული ქვეყნებიდან საჭირო ლიტერატურის გამოწერით და ამ საქმეში პირადი ინიციატივის გამოჩენით. მაგრამ „საქწიგნის" ხელმძღვანელობამ არსებული მდგომარეობა არათუ არ გააუმჯობესა, არამედ, პირიქით, გააუარესა. ნაცვლად იმისა, რომ სპეციალიზებული მაღაზია გაეხსნა, ე. ი. შეექმნა **უცხო წიგნებით** ვაჭრობის ცენტრი, მან კიდევ უფრო დააბნევრა და დააქუცმაცა ისედაც „სხვის კარზე" შეხიზნული სექცია. „საქწიგნის" გადაწყვეტილებით დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურა ორ ხელსაწყობ მაღაზიაში უნდა იყიდებოდეს (მაღაზია № 2 და მაღაზია № 5).

ამ არანორმალური მდგომარეობის იმით გამართლება, რომ ეს შესაძლებლობას გვაძლევს სხვა რაიონის მშრომელებსაც მივაწოდოთ საჭირო ლიტერატურა, საფუძველს მოკლებულია.

მიზანშეწონილია, რომ უახლოეს ხანში გაიხსნას დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურის სპეციალიზებული მაღაზია.

პროფესორები **ირ. ციციშვილი, რ. აბაებაძიანი, ი. ბვარჯაძე,** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **ო. ჯაბურიძე,** დოცენტები **ო. ჯიმორია, ზ. ბერხალაშვილი, დ. ლაშქარაძე, ნ. კაკაბაძე, ნ. ყიასაშვილი.**

მოკლე სიგნალები

◆ **სოფელი** აქუცა ქედის რაიონულ ცენტრს სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული. ამა სინჯეთ და მიდით იქ ავტომანქანით. გზა ისეთ ცუდ მდგომარეობაშია, რომ, როგორც იტყვიან, გველა ეშმაკსაც კი გაუჭირდება.

ნ. გათენაძე.

◆ **ხულოს** რაიონის სოფელ ზორტხევში მდინარეზე ხიდი არ არის. ქვეითად მოსიარულეებს ზოგჯერ გასავლელის ძებნაში მდინარის ნაპირზე აღმოჩენათ.

ა. აბაშიძე, ხ. ჯაიანი, ი. ხურმანიძე.

ინსტიტუტი 30 წლისაა

ჟუთაისის საზოგადოებრიობამ აღნიშნა თავისი უმაღლესი სასწავლებლის — ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 30-ე წლისთავი.

როგორც ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელი, ჟუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენდა. ამიტომაც იყო, რომ ინსტიტუტს საათავეში ჩაუდგნენ თბილისის უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები.

ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, სხვადასხვა დროს აქ მუშაობდნენ გამოჩენილი სამეცნიერო მეცნიერები, აკადემიკოსები კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ჯიბლაძე, ე. ბერიტაშვილი, გ. ძოწენიძე, ნ. კეცხოველი და სხვები. მათი დახმარებითა და ხელმძღვანელობით შედგომ წლებში ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან აღიზრდნენ მეცნიერ მუშაკთა ის ძირითადი კადრები, რომლებიც ახლა ინსტიტუტში მუშაობენ.

დაარსების დღიდან ინსტიტუტში მუშაობენ პროფესორები ე. მეძვერლია, ალ. გოცირიძე, დოცენტები გ. ბაჟალია, დოცენტები გ. კოკორაშვილი, ალ. კორძაძე, ქ. სანაიძე და სხვები. პროფესორი ლ. ჭელიძე 25 წლის მანძილზე იყო ამ ინსტიტუტის რექტორი.

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა გამოუშვა 13.000-მდე პედაგოგი. ამჟამად ინსტიტუტის ხუთ ფაკულტეტზე, დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე სწავლობს **4.066** სტუდენტი. მათ სწავლას აღზრდას ემსახურება 169 ლექტორ-მასწავლებელი, რომელთაგან 49 სამეცნიერო ხარისხი აქვს.

ამჟამად ინსტიტუტში მუშაობს 18 კათედრა, 30 კაბინეტი, ლაბორატორია და სახელოსნო. სამეცნიერო - ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის ფონდებში 300.000-მდე წიგნია. აქ ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დღემდე გამოვიდა ინსტიტუტის „შრომების" 35 ტომი, რომლებშიც გამოქვეყნებულია ხუთასზე მეტი გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა (რექტორი დოცენტი ვ. გოშხეთელიანი), ენერგიულად იბრძვის ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის პრაქტიკულად განხორციელებისათვის ვ ი ს. კაბინეტ „ლაბორატორიები შეივსო საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, ჩარხებითა და მოწყობილობით, მიმდინარე სასწავლო წლიდან შეიქმნა ბიოლოგიური სადგური, რისთვისაც გამოიყო 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამ ღონისძიებათა განხორციელებით უველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ სტუდენტები ღრმად დაეუფლონ თანამედროვე საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლებს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი,
19 თებერვალი, 1963 წ.

ვარსკვლავური ომის ფანტომები



ამერიკის ეროვნული თავდაცვის ინიციატივა, რომელიც ცნობილია „ვარსკვლავური ომის“ სახელით, ფანტასტიკური პროექტია, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსში ლაზერული და ნეიტრონული იარაღის განთავსებას. ეს პროექტი ამერიკის ხელისუფლებამ 1983 წლის მარტში წარადგინა. ამ პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ იარაღის საშუალებით ბალისტიკური რაკეტების ატომური ბირთვული ბლოკები ატმოსფეროში შესვლამდე განადგურდება. ამ პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ იარაღის საშუალებით ბალისტიკური რაკეტების ატომური ბირთვული ბლოკები ატმოსფეროში შესვლამდე განადგურდება. ამ პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ იარაღის საშუალებით ბალისტიკური რაკეტების ატომური ბირთვული ბლოკები ატმოსფეროში შესვლამდე განადგურდება.

ვარსკვლავური ომის ფანტომები

ამერიკის ეროვნული თავდაცვის ინიციატივა, რომელიც ცნობილია „ვარსკვლავური ომის“ სახელით, ფანტასტიკური პროექტია, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსში ლაზერული და ნეიტრონული იარაღის განთავსებას. ეს პროექტი ამერიკის ხელისუფლებამ 1983 წლის მარტში წარადგინა. ამ პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ იარაღის საშუალებით ბალისტიკური რაკეტების ატომური ბირთვული ბლოკები ატმოსფეროში შესვლამდე განადგურდება. ამ პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ იარაღის საშუალებით ბალისტიკური რაკეტების ატომური ბირთვული ბლოკები ატმოსფეროში შესვლამდე განადგურდება.

ვარსკვლავური ომის ფანტომები

გამოჩენილი იურისტი და პედაგოგი



ანდრონიკაშვილის საზოგადოებრივი და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. მას საპატიო ადგილი ეკავა რევოლუციამდელ იურისტთა იმ ნაწილში, რომელიც შეუხებელი ბრძოლას აწარმოებდა მეფის რეაქციულ სასამართლოსთან. თვალსაჩინო კვალი დატოვა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ქართული სამართლის მეცნიერების განვითარებაში. იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია იურიდიული განათლებისა საქართველოში. დიდად მნიშვნელოვანი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მონაწილეობა საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტების, შედგენაში და აგრეთვე მის. საკონსულტაციო მუშაობა საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგის საკითხებზე.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა იურიდიული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. შემდეგ თავისი ცოდნის შესავსებად ფილოსოფიის სწავლობდა ჰეიდელბერგისა და სტრასბურგის უნივერსიტეტებში, სადაც მუშაობდა ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებთან კუნო ფიშერთან და გინდელბანდთან.

თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ანდრონიკაშვილმა გასული საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო. 1899 წელს იგი ჩადგა რუსული ადვოკატურის რიგებში და სულ მოკლე ხნის განმავლობაში სახელი გაითქვა არა მარტო როგორც ნიჭიერმა და ღრმად განათლებულმა იურისტმა, არამედ აგრეთვე როგორც მაღალი ზნეობრივი თვისებებით აღჭურვილმა ადამიანმა.

900-იანი წლების დასაწყისში რევოლუციურად მოაზროვნე ახალგაზრდა ადვოკატურამ შექმნა ე. წ. „პოლიტიკურ დამცველთა ჯგუფები". ასეთი ჯგუფის შექმნის ინიციატორები პეტერბურგში ზარუდნი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, სოკოლოვი და სხვ. იყვნენ.

ამ ჯგუფის დაცვალებით ლ. ანდრონიკაშვილმა 100-ზე მეტ ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ პროცესში მიიღო მონაწილეობა. იგი იცავდა ბათუმელ (1902 წ.), როსტოველ (1903), თბილისელ (1903 წ.), ხაშურელ (1903 წ.) დასხვა დემონსტრანტებს, რომლებმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარსა და პოლიციას; იგი იცავდა ბაქოელ გაფიცულებს (1903 წ.), შავი ზღვის ფლოტის აჯანყებულ მეზღვაურთა დიდ ჯგუფს (1906 წ.), მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებს (1906 წ.), იმ საზოგადოების წევრებს, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება ნოვოროსიისკში და „ნოვოროსიისკის რესპუბლიკა" გამოაცხადეს (1906 წ.), იმავე ხასიათის საზოგადოების წევრებს, რომლებმაც შექმნეს „მიხერალოვოდსკის რესპუბლიკა" (1907 წ.), იგი იცავდა გაგრისა (1907 წ.) და კუნძულ ეზელის (1909 წ.) შეიარაღებული აჯანყებების მონაწილეებს, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში აჯანყებულ გლეხებს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სასამართლო პროცესი, მიმართული რევოლუციური და პროგრესული პრესის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, იგი იცავდა ბოლშევიკების პირველ ლეგალურ ორგანოს „ნოვაია ჟიზნს", რომელშიც მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი, ცნობილ მწერალს ვ. კოროლენკოს, რომელიც, როგორც ფურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოს" რედაქტორი, პასუხისგებაში იყო მიცემული იმ-ისათვის, რომ 1905 წელს მუშათა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური კომიტეტის დაპატიმრების შემდეგ გამოაქვეყნა გაფიცვის კომიტეტის მოწოდება მეფის რეჟიმის დამხობის შესახებ, ტოლსტოის გამომცემლებს, რომელთაც ბრალდებათ ტოლსტოის ღვთის მგმობელ ნაწარმოებთა გამოქვეყნება და სხვ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გამოსვლების მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი გაბედულად და ულმობლად ამხილებდა საბრალდებო ხელისუფლების წარმომადგენელთა მზაკვრულ ზრახვებს და თავის მრავალმხრივ ღრმა ცოდნას, ოსტატური იურიდიული ანალიზის უნარს და მჭევრმეტყველებას რევოლუციონერთა დიდ-ლის შემსუბუქებას ანდომებდა, არამედ იმაშიც, რომ იგი ყოველ თავის გამოსვლას რევოლუციური და მოწინავე იდეების პროპაგანდას უკავშირებდა. ბუნებრივია ამიტომ, რომ ლ. ანდრონიკაშვილის მიერ, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი იურისტების მიერ, პოლიტიკურ პროცესებზე წარმოთქმულ სიტყვებს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. ასეთი გამოსვლები წმინდა პროფესიული მოვალეობის შესრულების ფარგლებს სცილდებოდნენ და საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებას და გაღვივებას ხელს უწყობდნენ.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ნ. პოლიანსკი თავის გამოკვლევაში წერს: „როგორიც არ უნდა ყოფილიყო სუბიექტური მოტივები, რომლებითაც ცალკეული პოლიტიკური ლეგალობის ხელმძღვანელობდნენ, ის დაბმარება, რაც მათ საეროთ ძალღონით რევოლუციის უშუალო მუშაკებს გაუწიეს, დავიწყებას არ უნდა მიეცეს, ხოლო რევოლუციასთან თვითმპყრობელობის ბრძოლის ისტორიაში... უნდა ჩაიწეროს ფურცლები იმ წინააღმდეგობის შესახებ, რასაც თვითმპყრობელობას ამ ბრძოლაში პოლიტიკური ადვოკატურა უწევდა" (გვ. 238).

ამ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ლ. ანდრონიკაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ქართველი იურისტების და ისტორიკოსების ვალია შეისწავლონ და გააშუქონ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ეს მოღვაწეობა.

დამცველად მოღვაწეობის მთელი ხნის განმავლობაში ლ. ანდრონიკაშვილი მუდამ აღრმავებდა და ამდიდრებდა თავის ცოდნას იურიდიულ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში. შემთხვევითი რომ იყო, რომ პეტერბურგის ნიფიცმა მსაჯულებმა ლ. ანდრონიკაშვილი ერთხმად აირჩიეს ახალგაზრდა ნიფიც მსაჯულთა თეორიული კონფერენციების ხელმძღვანელად და ამის შემდეგ იგი 12 წლის განმავლობაში აღნიშნული კონფერენციების მუშაობას უცვლელად ედგა სათავეში.

უდიდესმა ერუდიციამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ გზა გაუხსნა ლ. ანდრონიკაშვილს საკანონმდებლო დარგში მუშაობისათვის. რუსული იურიდიული აზრის სახელგანთქმულ წარმომადგენლებთან — ტაგანცევთან, კონისთან, ჟოგლენკოსთან, ლიუბლინსკისთან და სხვებთან ერთად, ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა საკანონმდებლო კომისიის მუშაობაში, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების გადასინჯვა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ახალი ფურცელი გადაიშალა. პირნათლად შეასრულა რა თავისი საზოგადოებრივი ვალი რევოლუციის წინაშე მოწინავე და პროგრესული ადამიანების დაცვით, ლ. ანდრონიკაშვილმა დატოვა ადვოკატურის რიგები და ამიერიდან თავისი უზომაზარი ცოდნა და გასაოცარი ნიჭი მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეალია.

1919-20 წლებში ლ. ანდრონიკაშვილი მიიწვიეს ახალი ფილოსოფიის კურსის წასაკითხავად ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1921 წ. მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში იგი კითხულობს ლექციებს სასამართლო მჭევრმეტყველებაში, ხოლო 1921 წლის ბოლოს თბილისის უნივერსიტეტის მოწვეული საქართველოში ჩამოდის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელთან დაკავშირებულია იურიდიული ფაკულტეტის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მის მიერ წაკითხული მთელი რიგი პასუხსაგები კურსები — სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამართლის ზოგადი თეორია, საპროცესო სამართალი — გახდა ის საფუძველი, რომელზეც თანდათან განვითარდა იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობა.

ანდრონიკაშვილმა გავლენა მოახდინა ქართული იურიდიული აზრის განვითარებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მეცნიერი-მოაზროვნე ლ. ანდრონიკაშვილი აუცილებლად თვლიდა სამართლის პრობლემათა ფილოსოფიურ დასაბუთებას. განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა იგი დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვლევისათვის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეტად პოპულარული და დიდად საყვარელი ლექტორი და პროფესორი იყო. მისი ლექციები არა მარტო იურიდიული, არამედ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებსაც იზიდავდა. მას ემარჯვებოდა მეცნიერული პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომა და თანაც ისე ცოცხლად და ისეთი უშუალობით გადაუშლიდა მსმენელებს საკითხის გამოკვლევის პროცესს, თითქოს ლექტორის აზრი იქვე ლექციის კითხვისას იქედებოდა. დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, იგი საკვირველად აცხოველებდა თავის ლექციებს ოსტატურად მომარჯვებული მხატვრული სახეებით და ცოცხალი მაგალითებით სასამართლო პრაქტიკიდან. ასეთი ლექციები, ცხადია, იტაცებდა მრავალრიცხოვან მსმენელებს, რომელნიც არა მარტო იღებდნენ ღრმა წარმოდგენას საგანზე, არამედ კვალდაკვალ რომ მისდევდნენ მასწავლებლის აზრის განვითარებას, თვითონ უნებურად ებმებოდნენ კვლევის პროცესში.

დიდი ძალღონე და სიყვარული მოახმარა ლ. ანდრონიკაშვილმა ახალგაზრდა იურიდიული მეცნიერული კადრების გამოზრდის საქმეს. დაუღალავად და გატაცებით მუშაობდა იგი თავის ასპირანტებთან და ასისტენტებთან, ყველასთან, ვინც იჩენდა მეცნიერულ ინტერესს და ძალუძდა მუშაობის უნარს.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი ფართო საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის სფსრ და საქართველოს სსრ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში. მის მიერ შედგენილია ამიერკავკასიის სფსრ 1924 წლის კონსტიტუციის პროექტის პირველი ვარიანტი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საბიუჯეტო უფლებათა დებულების პროექტი და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი. 1930-1931 წლებში ლ. ანდრონიკაშვილი მიწვეულ იყო საბჭოთა მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოში უცხოური კონცესიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად. ლ. ანდრონიკაშვილმა შეძლო დაემტკიცებინა კონცესიონერის მიმართ საბჭოთა მთავრობის პრეტენზიების კანონიერება და საფუძლიანობა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს კარჩაკეტილობა და მარტო თავისი სპეციალობით შემოზღუდვა არ ახასიათებდა. იგი უნივერსალურად განათლებული ადამიანი იყო და ფართოდ ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ყველა მოვლენას. დაუვიწყარია ლ. ანდრონიკაშვილის ბრწყინვალე გამოსვლები ხელოვნების, ლიტერატურისა და თეატრის საკითხებზე.

საბჭოთა იურისტები ყოველთვის მაღალერების გრძნობით მოიგონებენ სამართლიანობისათვის უანგარო და დაუღალავი მებრძოლის, დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, იშვიათი ზნეობრივი მიმზიდველობით მოსილი ადამიანის — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნათელ სახეს.

თ. წერეთელი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.



გუდაუთის რაიონი. თვალწარმტაც ფიჭვის კორომში ზღვის პირზე აშენებულია ახალი დასასვენებელი სახლი „განთიადი". მის ოთხ კორპუსში ერთდროულად მოთავსდება 200 კაცი. გაივლის კიდევ ცოტა დრო და ჯანმრთელობის ახალ კერაში ჩამოვლენ პირველი დამსვენებლები.

სურათზე: ახალი დასასვენებელი სახლი „განთიადი".

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

წერილი მოსკოვიდან

ერთი ცბიერთვის სიახლენი

განა ბევრი რამის გაკეთება შეიძლება მზესუმზირას ჩენჩოსაგან? ნუ ჩქარობთ უარყოფითად უპასუხოთ კითხვაზე. უკეთესია შეიარათ საქართველოს პავილიონში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აქ გამოფენილია ავეჯის ნიმუშები: ლამაზი საუურნალო მაგიდა, საწოლის პატარა ტუმბები. ისინი გაკეთებულია ორიგინალური ნარევისაგან. მასში შედის ფის „ჟფ-17"-ის ათი ნაწილი, 30-50 ნაწილი ხის ბურბუშელა და 50-70 მზესუმზირას ჩენჩო.

ეს ნარევი ქმნის ლამაზ, პრიალა, თავისებური ფერების კომბინაციას. მზესუმზირას ჩენჩოსაგან დამზადებული ნაწარმი გაცილებით იაფია, ვიდრე ბურბუშელასაგან და ხანგრძლივია. პავილიონში გამოფენილი ავეჯი გამოგზავნილია საქართველოს სატყეო ინსტიტუტის მიერ.

მნახველთა ინტერესს იწვევს ერთ-ერთ დარბაზში გამოფენილი საწარმოო შენობის მაკეტი. მოსახერხებელი და იაფი კონსტრუქცია დამუშავებულია „საქკვებპროექტის" მიერ. ეს ასაწყობი ერთსართულიანი შენობა იკრიბება ერთი ზომის ფილებისაგან, რომლებიც გამოირჩევიან სიმსუბუქით და გამძლეობით. კვადრატული მეტრის ფასი ახალი კონსტრუქციის ერთსართულიან საწარმოო შენობაში სამჯერ ნაკლებია ტიპური რკინაბეტონის კონსტრუქციის ღირებულებასთან შედარებით.

საქართველოს პავილიონის ხიახლენი დიდ ინტერესს იწვევენ. ისინი დაათვალიერეს აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა აზიის რესპუბლიკების, ურალის, ლენინგრადისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების ექსკურსანტებმა.

ბ. ლარკინი.
მოსკოვი.

იზრდება ჩვენი ექსპორტი

ქართული ღვინო, კონიაკი, შამპანური, თამბაქო, ჩაი და კვების მრეწველობის სხვა პროდუქტები დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

გასულ წელს 225 ტონა ჩაის ნედლეული გაიგზავნა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, მონღოლეთში. 645 ტონა ქართული თამბაქოს ნედლეული მიიღეს შვეიცარიაში, ფინეთში, ეგვიპტეში, შვეციაში, ქართული ღვინოები 200.000 დეკალიტრის რაოდენობით — კორეაში, ლიბიაში, იუგოსლავიაში, ვიეტნამში.

მიმდინარე წლის იანვარში ქართული კონიაკი უკვე გაიგზავნა განაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ღვინო-ჰონკონგსა და საფრანგეთში. წელს საზღვარგარეთ გაიგზავნება 1.150 ტონა თამბაქოსა და 930 ტონა ჩაის ნედლეული.

მოკლედ

◆ **თელავი.** (საკ. კორ.). ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აშენდა ახალი კეთილმოწყობილი რესტორანი „ცისკარი".

◆ **ყვარლის** რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა, საბოფლო საბჭო, ბიბლიოთეკა, კლუბი.

ი. ნადაშვილი.

ოქრო ცხვარმა რვა პაწაწინა მოიგო

სიღნაღი. (საკ. კორ.). ზემო ქედის კოლმეურნეობის ორმა ბრიგადამ აღრეული ღონე კარგა ხანია დაამთავრა. შედეგი გასულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. ბრიგადამ, რომელსაც ს. ქავთარაძე ხელმძღვანელობს, 760 ნერგზე 765 ბატკანი გაზარდა. უკეთესი მაჩვენებლები აქვს გ. პარკაულის ბრიგადას. მან 767 ნერგზე 777 ბატკანი გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ ბრიგადის საათის მიმაგრებული ცხვრებიდან ორმა ოთხ-ოთხი ბატკანი მოიგო.

კინომუშაკთა მამაცობა

ქ. ზესტაფონის სასტუმროში ახალი ქართული ფილმის „ვარსკვლავთცვენის" გადაღები ჯგუფი ისვენებდა. უეცრად გაისმა საგანგაშო სიგნალი: „ხანძარი!". სასტუმროს ქვედა სართულიდან, სადაც რესტორნის სამზარეულოა, მხუთავი ბირის სუნი ამოდიოდა. მალე ცეცხლის ენები კედელში დატანებულ საკვამლე მილს ამჟვა და სახურავს მოედო. ცეცხლს ქარი კიდევ უფრო აძლიერებდა. საქირო იყო სასწრაფო ზომების მიღება.

— ტელეფონით ვაცნობოთ სახანძრო რაზმს, ჩვენ კი ცეცხლს მივხედოთ, გიბედო! — გაისმა კინოოპერატორის ხმა. ორი რერაბერგის ხმა. თვალის დახამხამებაში წყლით სავსე ვედროებით სასტუმროს სახურავქვეშ შეეხდნენ ოპერატორის ასისტენტი კუკური გვასალია, შოფერი აკაკი ჩიტაძე, რეკვიზიტორი გიორგი კორძაძია, მსახიობი შოთა ნოზაძე. ვიდრე სახანძრო რაზმის ავტომანქანები მოვიდოდა, კინოფილმის გადამღები ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ის, რის გაკეთებაც შეეძლოთ, — გააუვნებლეს ხანძრის საშიში კერა.

ა. ფოცხვერაშვილი.

გმადლობთ, მეგობრებო!

მურმანსკი, 17 თებერვალი. (საქდესის კორ.). დათოვლილი ქარბუქიანი მურმანსკის მაღაზიებსა და კიოსკებში გამოჩნდა მოყვითალო-მწვანე ფერის მიმოზის რტოები. ეს მშვენიერი საგაზაფხულო საჩუქარი იმერპოლარეთის მცხოვრებლებს თვითმფრინავით გამოუგზავნეს სოხუმის გამწვანების მეურნეობის მუშაკებმა.

გმადლობთ, მეგობრებო, გაზაფხულისათვის! ეუბნებიან ჩრდილოელები შორეული სამხრეთის ქალაქის მცხოვრებლებს.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

სპორტული ქრონიკა

გასულ კვირაღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფრენბურთში თბილისის „ბურევესტნიკისა" და ერევნის „დინამოს" ვაჟთა ჯგუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:0.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება. საბჭოთა კავშირიდან წარმატებით იბრძვის მოსკოვის „ტრუდი". გუშინ „ტრუდის" ხელბურთელები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრნენ ამ კვეყნის ჩემპიონთან „ფორვერტსთან" შესახვედრად. მათი პირველი ნახევარფინალური მატჩი შედგება 20 თებერვალს.

17 თებერვალს ჰელსინკში შედგა მეორე ამხანაგური მატჩი ბურთიან ჰოკეიში სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. თუ პირველ შეხვედრაში საბჭოთა ჰოკეისტებს წარმატება არ ჰქონიათ, ამჯერად ისინი თამაშობდნენ ტემპიანად, შეწყობილად და გაიმარჯვეს 7:1.

გრძელდება „ა" კლასის ჭადრაკში თელ ვაჟთა გუნდების დასკვნითი შეხვედრება. გუშინ თბილისის „პოლიტექნიკი" თამაშობდა კიევის „სტროიტელთან" და დამარცხდა 49:72.

ჩვენი პლანეტის ამინდი

8 თებერვალს ღამით ცხრა მეტრი სიმაღლის ტალღები დაატყდა კორინთის უბის სანაპიროს. დაზარალდა 8 სოფელი. წარმოიდგინეთ, რომ კატასტროფა გამოიწვია ზღვის ფსკერზე მომხდარმა მიწისძვრამ. ასეთ შემთხვევებში ტალღები ჩვეულებრივად დამრეცია, მაგრამ თუ ვიწრო უბეში მოხვდნენ, ისინი მძლავრად ზვირთდებიან და უდიდეს სიმაღლეს აღწევენ. იაპონელებმა მათ ცუნამი უწოდეს. ისინი იქმნება ხეისმიურად არამდგრად ზონებში. მიმდინარე ზამთარში არამდგრადი აღმოჩნდა არა მარტო თვით მიწა, არამედ ატმოსფეროც.

დიდი თოვლია ბალკანეთის მთებში. ხოლო როცა ტემპერატურამ აიწია, უზარმაზარი ზვავები დაექანა ხეობებისაკენ, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია. მოსპობილია სოფლები საბერძნეთში. ჯერ კიდევ დაფარულია ყინულით სრუტეები დანის ნაპირებთან და ნოსტნოდა ყინულმჭრელების დახმარებით წარმოებს. დიდი სიცივეა ნორვეგიაში, სადაც ტემპერატურა — 28 გრადუსამდე ეცემოდა. ინგლისსა და ირლანდიაში ხშირი წვიმებია.

სამხრეთ ამერიკაში კი ზაფხულივით ცხელი დღეებია. არგენტინასა და ბოლივიაში თერმომეტრი უჩვენებდა 34 გრადუსს ნულს ზევით.

ინდოეთსა და ინდოჩინეთში სიცხეა. სულ უფრო ხშირია ელვიანი სამხრეთ ჩინეთში, ხოლო ამის მატერიის აღმოსავლეთ ნაპირებს გადაუვლიან ხოლმე ციკლონები, რომლებიც იწვევენ ძლიერ ქარებს იაპონიაში, კურილის კუნძულებზე და კამჩატკის სანაპიროზე.

დამშვიდებული არ არის დედამიწის ქერქიც. ამოლღნენ ვულკანები იაპონიაში. ხეისმური სადგურები აღნიშნავენ ძლიერ მიწისძვრებს წყნარ ოკეანეში და უურადღებით ადევნებენ მათ თვალს. ასეთმა მიწისძვრამ ხომ შეიძლება ცუნამი გამოიწვიოს. კამჩატკაზე და კურილის კუნძულებზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და პიდრომეტეოროლოგიურმა სამსახურმა შეიმუშავეს სპეციალური ინსტრუქციები. ამ ინსტრუქციების თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცა საშუალება ევაკუაციის ჩატარებისა. ამ ინსტრუქციების ძალით ხალხი ევაკუირებულ იქნა ზღვის სანაპიროდან 2 კილომეტრის მანძილზე.

ფეხბურთის კალეიდოსკოპი

◆ **გაზაფხული** პირველი მერცხლები — ასე უწოდებენ ფეხბურთელთა იმ კოლექტივებს, რომლებიც ჯერ კიდევ თებერვალში ეწვევიან ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ქალაქებს. ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა სსრ კავშირის ჰაბუკთა ნაკრები, რომელიც ერევნის ახლოს „არტაშატის" სტადიონზე გადის წვრთნას. გასულ კვირადღეს აქ შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ჰაბუკთა ნაკრებ და ერევნის „არარატის" (ყოფილი „სპარტაკი") გუნდებს შორის. გამიმარჯვა ჰაბუკთა ნაკრებმა 3:2.

◆ **ჩეხოსლოვაკიის** საკლუბო გუნდი „რუდა გვეზდა" ამჟამად არგენტინაში იმყოფება. პირველი მატჩი სტუმრებს ჰქონდათ „ბოკა ჯუნიორსთან". გამიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:0.

ჩვენი პლანეტის ამინდი

ცუნამები ხეისმურ ზონებში ხშირად ხდება. ასეთი ტალღები ჩვენ ხედავთ ფილმებში. ისინი ხშირად ანგრევენ ნაპირებს, ანადგურებენ ნაგებობებს, ხოცავენ ადამიანებს. ასეთი ტალღები ხშირად ხდებოდა ხეისმურ ზონებში მდებარე ქალაქ ლისაბონში. ასეთი ტალღები ხშირად ხდებოდა ხეისმურ ზონებში მდებარე ქალაქ ლისაბონში. ასეთი ტალღები ხშირად ხდებოდა ხეისმურ ზონებში მდებარე ქალაქ ლისაბონში.

პარკები — ჰაერის ღიმილი

ამას წინათ შეჯამებულ იქნა შედეგები კულტურისა და დასვენების პარკების საზოგადოებრივი დათვალიერების, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და გაზეთ „იზვესტიის" რედაქციამ. დათვალიერებამ ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კულტურისა და დასვენების პარკების გაუმჯობესებას, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქისა და რაიონის კულტურისა და დასვენების პარკებს შორის საუკეთესონი დასახელებული არიან საქართველოს კულტურისა და დასვენების პარკები. „კულტურისა და დასვენების საუკეთესო პარკის" წოდება და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ფულადი პრემია სსრ კავშირის სხვა პარკებს შორის მიენიჭა თბილისის სერგო ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკს.

პირველი ხარისხის საპატიო დიპლომით და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ფულადი პრემიით დაჯილდოებულთა შორის არის კულტურისა და დასვენების პარკი მთაწმინდაზე (თბილისი).

მეორე ხარისხის საპატიო დიპლომები მიენიჭათ ქ. რუსთავის და საბურთალოს რაიონის კულტურისა და დასვენების პარკებს.

საპატიო სიგელით დაჯილდოებული არიან ქ. ქუთაისის, ქ. ფოთისა და გურჯაანის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკები.

„კულტურისა და დასვენების საუკეთესო პარკის" დებისუფლების წარმომადგენელთა მზაკვრულ ზრახვებს და თავის მრავალმხრივ ღრმა ცოდნას, ოსტატური იურიდიული ანალიზის უნარს და მჭევრმეტყველებას რევოლუციონერთა დიდ-ლის შემსუბუქებას ანდომებდა, არამედ იმაშიც, რომ იგი ყოველ თავის გამოსვლას რევოლუციური და მოწინავე იდეების პროპაგანდას უკავშირებდა. ბუნებრივია ამიტომ, რომ ლ. ანდრონიკაშვილის მიერ, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი იურისტების მიერ, პოლიტიკურ პროცესებზე წარმოთქმულ სიტყვებს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. ასეთი გამოსვლები წმინდა პროფესიული მოვალეობის შესრულების ფარგლებს სცილდებოდნენ და საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებას და გაღვივებას ხელს უწყობდნენ.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ნ. პოლიანსკი თავის გამოკვლევაში წერს: „როგორიც არ უნდა ყოფილიყო სუბიექტური მოტივები, რომლებითაც ცალკეული პოლიტიკური ლეგალობის ხელმძღვანელობდნენ, ის დაბმარება, რაც მათ საეროთ ძალღონით რევოლუციის უშუალო მუშაკებს გაუწიეს, დავიწყებას არ უნდა მიეცეს, ხოლო რევოლუციასთან თვითმპყრობელობის ბრძოლის ისტორიაში... უნდა ჩაიწეროს ფურცლები იმ წინააღმდეგობის შესახებ, რასაც თვითმპყრობელობას ამ ბრძოლაში პოლიტიკური ადვოკატურა უწევდა" (გვ. 238).

ამ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ლ. ანდრონიკაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ქართველი იურისტების და ისტორიკოსების ვალია შეისწავლონ და გააშუქონ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ეს მოღვაწეობა.

დამცველად მოღვაწეობის მთელი ხნის განმავლობაში ლ. ანდრონიკაშვილი მუდამ აღრმავებდა და ამდიდრებდა თავის ცოდნას იურიდიულ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში. შემთხვევითი რომ იყო, რომ პეტერბურგის ნიფიცმა მსაჯულებმა ლ. ანდრონიკაშვილი ერთხმად აირჩიეს ახალგაზრდა ნიფიც მსაჯულთა თეორიული კონფერენციების ხელმძღვანელად და ამის შემდეგ იგი 12 წლის განმავლობაში აღნიშნული კონფერენციების მუშაობას უცვლელად ედგა სათავეში.

უდიდესმა ერუდიციამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ გზა გაუხსნა ლ. ანდრონიკაშვილს საკანონმდებლო დარგში მუშაობისათვის. რუსული იურიდიული აზრის სახელგანთქმულ წარმომადგენლებთან — ტაგანცევთან, კონისთან, ჟოგლენკოსთან, ლიუბლინსკისთან და სხვებთან ერთად, ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა საკანონმდებლო კომისიის მუშაობაში, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების გადასინჯვა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ახალი ფურცელი გადაიშალა. პირნათლად შეასრულა რა თავისი საზოგადოებრივი ვალი რევოლუციის წინაშე მოწინავე და პროგრესული ადამიანების დაცვით, ლ. ანდრონიკაშვილმა დატოვა ადვოკატურის რიგები და ამიერიდან თავისი უზომაზარი ცოდნა და გასაოცარი ნიჭი მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეალია.

1919-20 წლებში ლ. ანდრონიკაშვილი მიიწვიეს ახალი ფილოსოფიის კურსის წასაკითხავად ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1921 წ. მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში იგი კითხულობს ლექციებს სასამართლო მჭევრმეტყველებაში, ხოლო 1921 წლის ბოლოს თბილისის უნივერსიტეტის მოწვეული საქართველოში ჩამოდის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელთან დაკავშირებულია იურიდიული ფაკულტეტის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მის მიერ წაკითხული მთელი რიგი პასუხსაგები კურსები — სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამართლის ზოგადი თეორია, საპროცესო სამართალი — გახდა ის საფუძველი, რომელზეც თანდათან განვითარდა იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობა.

ანდრონიკაშვილმა გავლენა მოახდინა ქართული იურიდიული აზრის განვითარებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მეცნიერი-მოაზროვნე ლ. ანდრონიკაშვილი აუცილებლად თვლიდა სამართლის პრობლემათა ფილოსოფიურ დასაბუთებას. განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა იგი დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვლევისათვის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეტად პოპულარული და დიდად საყვარელი ლექტორი და პროფესორი იყო. მისი ლექციები არა მარტო იურიდიული, არამედ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებსაც იზიდავდა. მას ემარჯვებოდა მეცნიერული პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომა და თანაც ისე ცოცხლად და ისეთი უშუალობით გადაუშლიდა მსმენელებს საკითხის გამოკვლევის პროცესს, თითქოს ლექტორის აზრი იქვე ლექციის კითხვისას იქედებოდა. დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, იგი საკვირველად აცხოველებდა თავის ლექციებს ოსტატურად მომარჯვებული მხატვრული სახეებით და ცოცხალი მაგალითებით სასამართლო პრაქტიკიდან. ასეთი ლექციები, ცხადია, იტაცებდა მრავალრიცხოვან მსმენელებს, რომელნიც არა მარტო იღებდნენ ღრმა წარმოდგენას საგანზე, არამედ კვალდაკვალ რომ მისდევდნენ მასწავლებლის აზრის განვითარებას, თვითონ უნებურად ებმებოდნენ კვლევის პროცესში.

დიდი ძალღონე და სიყვარული მოახმარა ლ. ანდრონიკაშვილმა ახალგაზრდა